ხაშურის მოამბე

№10 (191) 11 მარტი, ორშაბათი, 2019 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

5 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა მორიგი და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ორი სხდომა, რომლებზეც საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალიწინებულ 11 საკითხზე იმსჯელეს.

სხდომებს უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

საკრებულომ თანხმობა მისცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვის თაობაზე;

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა 2019 წლის სასწავლო (სასწავლო პროფესიული) გეგმა;

რეგლამენტის შესაბამისად, დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა. მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში;

საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი თერთმეტივე საკითხი.

წარჩინებული მოსწავლეები ოქროს და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ

1 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლების 2017 წლის წარჩინებულმა კურსდამთავრებულებმა ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღეს.

მედლების გადაცემის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა. მან მედალოსნებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა, წარმატებები უსურვა და მათთან სამომავლო თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, პირველი საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე საბა ჭავჭავაძე და ხაშურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენლები.

მედლებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას უძღვებოდა ხაშურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე, რომელმაც გარდა მედალოსნებისა, მის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ გელაშვილი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ ინიცირებულ ესსეების კონკურსში „მიწერე გმირს“ გამარჯვებისთვის. კონკურსი ეძღვნებოდა ქართველი გმირის - არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას.

ღონისძიების ფარგლებში 15 კურსდამთავრებულს ვერცხლის, ხოლო 61 კურსდამთავრებულს ოქროს მედლები გადაეცათ.

განიხილეს სარწყავი არხის მოწესრიგების საკითხი

შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მელიორაციის სამსახურისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლები ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში იმყოფებოდნენ და სარწყავი არხის მოწესრიგების საკითხი განიხილეს.

პირველ ეტაპზე, მოხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც, შესაბამის სამსახურებთან ერთად, სამუშაოები დაიწყება. განხორციელებული სამუშაოების შედეგად სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი იქნება ათამდე სოფლის სახნავ-სათესი სავარგული.

დღეს, ქვეყნის ხელისუფლებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. მიწების გასარწყავება ამ მიმართულების უპირველესი საკითხია. ამიტომაც, მსგავსი და უფრო მასშტაბური ღონისძიებები სხვა სოფლებშიც განხორციელდება, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში აგრარულ სექტორს ახალ სიმაღლეზე აიყვანს, - აღნიშნა გიორგი ხოჯევანიშვილმა.

- 100 წლის იუბილე -

1919 წლის 12 მარტი - საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორია დაიწყო

საქართველოში არჩევნების ისტორია 1919 წლის თებერვლიდან იწყება. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამავე წლის შემოდგომიდან საბჭო "საქართველოს პარლამენტად" გარდაიქმნა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი საკანონმდებლო ორგანოს-დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის თებერვალში გამართულიყო. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, არჩევნების თარიღად 1919 წლის 14,15, 16 თებერვალი დასახელდა.

არჩევნებში ხმით უმრავლესობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ მიიღო. ასე იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბითაც. ხაშურში მათ 237 ხმა მიიღეს, სოციალ-ფედერალისტებმა-88.

საზოგადოების განწყობა სოციალ-დემოკრატების მიმართ მაღალი იყო. 2 მარტის გაზეთი "ერთობა" ხაშურის და ზემო გომის რაიონებში შექმნილ ვითარებაზე წერდა:

"არჩევნები სასურველათ დამთავრდა. არჩევნების წინა დღეებში თითქმის ყველა საზოგადოებაში რეზოლუციები გამოიტანეს გლეხებმა, რომ ისინი ნდობას უცხადებენ დღევანდელ მთავრობას და არჩევნებშიც ხმას მივცემთ მუშათა პარტიას,რომელიც ათეული წლების განმავლობაში იბრძვის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. მრავალი მსხვერპლი შესწირა თავისუფლებას და დღეის შემდეგაც იმედი გვაქვს, რომ ამ პარტიის დახმარებით აღსრულდება ყოველივე ჩვენი სურვილები".

12 მარტს გაიმართა დამფუძნებელი კრების პირველი საზეიმო სხდომა. ამავე დღეს, ხაშურში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობით,გაიმართა დიდი მიტინგი და დემონსტრაცია. "ამ ისტორიული დღის დემონსტრაციაში ფართო მასამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო"-წერდა გაზეთი "ერთობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან დამფუძნებელ კრებაში არჩეული იყვნენ ნიკიფორე იმნაიშვილი და კირილე ნინიძე. ეს ფაქტი,ძალზე მნიშვნელოვანი და საამაყოა ჩვენთვის.

ნიკიფორე ბესარიონის ძე იმნაიშვილი დაიბადა 1888 წელს,ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის ლანჩხუთის საზოგადოების სოფელ შუხუთში, მღვდლის

ოჯახში; სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. ამ პერიოდიდან იყო ჩართული ადგილობრივი მარქსისტული წრეების მუშაობაში. 1904 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების" ფრაქციის წევრი.მონაწილეობა მიიღო რუსეთ-იაპონიის ომის წინააღმდეგ მოწყობილ მოსწავლეთა საპროტესტო აქციაში, რის გამოც დააპატიმრეს და ერთი თვით იჯდა ციხეში. გათავისუფლების შემდეგ, აგრძელებდა პარტიაში მუშაობას: იყო რსდმპ ქუთაისის კომიტეტის მდივანი და ახალგაზრდათა ორგანიზაციის თავმჯდომარე,რის გამოც,1906 წელს,მეორედ დააპატიმრეს და სამი თვით იჯდა ციხეში ადმინისტრაციული წესით. 1907 წელს,უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა გერმანიაში. სწავლობდა ჰალეს უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე; პარალელურად მუშაობდა რსდმპ საზღვარგარეთულ ორგანიზაციებში, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში „ი. ნ-რეს", „ნ-რე ი-სა" და „ნე-ონის" ფსევდონიმებით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1912 წელს, დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად მიხაილოვოს (ხაშურის) გიმნაზიაში. მუშაობდა რკინიგზელთა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში.

1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წლის 12 მარტიდან არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით. იყო განათლების, საბიბლიოთეკო, საბიუჯეტო-საფინანსო და სარეგლამენტო კომისიების წევრი.

1921 წლის იანვარში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა 11 წევრთან ერთად, ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი „სხივი", რომელიც აკრიტიკებდა პარტიას იდეური პრინციპების დარღვევის,სახელმწიფო მმართველობის წარუმატებელი კურსისა და პარტიაში შიდა დემოკრატიის შესუსტების გამო. 1921 წლის იანვარში,საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციების კონფერენციაზე „სხივის" ჯგუფს უმრავლესობამ მოსთხოვა დაეცვა პარტიული დისციპლინა და შეეწყვიტა საკუთარი პარტიის ღია კრიტიკა გაზეთ „ახალი სხივის" ფურცლებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გაირიცხებოდნენ პარტიიდან. საპასუხოდ, „სხიველთა" ჯგუფმა, 1921 წლის 11 თებერვლის დამფუძნებელი კრების სხდომაზე საჯაროდ განაცხადეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დატოვების და „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია - „სხივის" შექმნის შესახებ,რომელმაც ცალკე - ოპოზიციური ფრაქცია შეადგინა დამფუძნებელ კრებაში. სხვადასხვა პარტიული მუშაობის გამო, რამდენჯერმე დააპატიმრეს. როგორც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი და მავნე ელემენტი, „იზოლაციის წესით" იჯდა მეტეხის №2 „გამასწორებელ სახლში", სადაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების გამო (ტუბერკულოზი) თავდებობით გაათავისუფლეს 1922 წლის 6 ოქტომბერს. გათავისუფლების შემდეგ, გაემგზავრა ბათუმში სამკურნალოდ, შემდგომ მცირე ხნით ცხოვრობდა და მუშაობდა მშობლიურ სოფელში და თბილისში დაბრუნდა 1923 წლის ზაფხულში, სადაც მალევე, 1923 წლის 29 აგვისტოს, დააპატიმრეს კონტრრევოლუციური არალეგალური საქმიანობის ბრალდებით, თუმცა ძიებამ დაკითხვებზე მისგან ინფორმაციის მიღება ვერ შეძლო.

1925 წლის 15 ივლისიდან 3 აგვისტომდე, ნიკიფორე იმნაიშვილი (სხვა 46 პოლიტპატიმართან ერთად) გაასამართლა საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ ე. წ. „პარიტეტული კომიტეტის პროცესზე", 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების ორგანიზების ბრალდებით. სასამართლომ, ბრალდების დაუსაბუთებლობის გამო, იგი პატიმრობიდან გაათავისუფლა. მესამედ დაპატიმრებული იყო 1931 წელს და ციხეში იჯდა 1932 წლის მაისამდე. მუშაობდა რამდენიმე ინსტიტუტში პედაგოგად, საიდანაც მალევე ათავისუფლებდნენ.

1937-1938 წლების დიდი საბჭოთა ტერორის დროს, საქართველოს სსრ შინსახკომის მე-2 განყოფილების უფროსმა, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა ნაცვლიშვილმა, ნიკიფორე იმნაიშვილის დაპატიმრების დადგენილება მიიღო 1937 წლის 13 ივნისს.

20 სექტემბერს, იმნაიშვილს წარუდგინეს საბრალდებო დასკვნა, რაზედაც მან განაცხადა, რომ ჯერ არ ჰქონდა დასრულებული განცხადება შინაგან საქმეთა კომისრის სახელზე და მიუთითა, რომ ანკეტის შევსებისას გამორჩა იმის დაფიქსირება, რომ იყო დამფუძნებელი კრების წევრი 1919-1921 წლებში. თავმჯდომარემ ძიება დასრულებულად გამოაცხადა და იმნაიშვილს უკანასკნელი სიტყვის თქმის უფლება მისცა; მან მოითხოვა, სასამართლოს მხედველობაში მიეღო, რომ მას ცილი დასწამეს და სიკვდილით არ დაესაჯათ.

18:15 წუთზე სასამართლოს შემადგენლობა თათბირიდან დაბრუნდა და იმნაიშვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუცხადა.

დახვრიტეს იმავე ღამეს.

კირილე იესეს ძე ნინიძე დაიბადა 1878 წლის 17 იანვარს (ძველი სტილით) ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ასკანაში, გლეხის ოჯახში; დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. 1901 წლის 5 მაისს (ძველი სტილით), ქუთაისის თეატრში რუსეთიდან ჩამოსულმა დასმა დადგა ანტისემიტური ხასიათის სპექტაკლი -„შვილნი ისრაილისა", რასაც მოჰყვა დამსწრე ახალგაზრდობის პროტესტი, რომლებმაც სპექტაკლის ჩაშლა სცადეს (ანალოგიური სკანდალი მოხდა 16 აპრილს სპექტაკლ „კონტრაბანდისტების" გამო). პოლიციამ არეულობის მოთავეები, მათ შორის - კირილე ნინიძეც დააპატიმრა და პასუხისგებაში მისცა. კირილე ნინიძემ სწავლა განაგრძო იურევის (დორპატის/ტარტუს) უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც სამი კურსი დაასრულა. ამ პერიოდიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი; სტუდენტურ მღელვარებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში ტფილისში; იყო რსდმპ ტფილისის ორგანიზაციების ხელმძღვანელი კოლექტივის წევრი. თანამშრომლობდა პრესაში „გვაბრათელისა" და „კ. ნ-ძეს" ფსევდონიმებით, „ოხრანკის" თვალთვალის ჟურნალებში გატარებულია მეტსახელ „Козел"-ით.

კიდევ რამდენჯერმე -1903და 1908 წწ. - დაპატიმრებული იყო პოლიტიკური საბაბით; გადასახლებული იყო სარატოვის მხარის ქალაქ ვოლსკში. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა პედაგოგად სხვადასხვა სასწავლებლებში. 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1918 წლის განმავლობაში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი.

(დასასრული V გვერდზე

- ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი -

წრომის ტაძარი

შიდა ქართლი საქართველოს ერთ-ერთი იმ მხარეთაგანია, რომელიც გამოირჩევა არაერთი კულტურულ-არქიტექტურული ნიმუშით. კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელი წრომი თვალსაჩინო მაგალითია ამ თვალსაზრისით. სოფელი წრომი, ადრინდელ და განვითარებულ ხანაში, გარკვეულ, მნიშვნელოვან, კულტურულ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო ქართლის დასავლეთით. XVIII საუკუნის 30-იანი წლები, განსაკუთრებით, მძიმე აღმოჩნდა წრომისთვის. მიზეზი ლეკიანობა იყო, მათი გამუდმებული თავდასხმების შედეგად, სოფელი მთლიანად მოიშალა. მხოლოდ XVIII საუკუნის 60-70-იან



წლებიდან იწყება წრომის ხელმეორედ დასახლება. ამ მხარის თავადებს - ციციშვილებს, სამეფო კარის ხელშეწყობით, ჯავახეთიდან გადმოჰყავთ მოსახლეობა და ასახლებენ გაუკაცრიელებულ სოფლებში, მათ შორის წრომშიც. ეს პროცესი გრძელდება XIX საუკუნეშიც. წრომი გამორჩეული სოფელია, იმით რომ მასში რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლია, კერძოდ, ნამოსახლარები, რომლებიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდებიან. სამწუხაროდ, სერიოზულ არქეოლოგიურ გათხრებს წრომში ადგილი არ ჰქონია. სოფელში მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში - მაცხოვრის სახელზე აგებული ტაძარი.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში სოფელ წრომში ყოფილა საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკლესია, სადაც მემატიანეს გადმოცემით, 457 წელს, აგვისტოში, წამებით მოუკლავთ რაჟდენი, ვახტანგ გორგასლის თანამოღვაწე, გაქრისტიანებული სპარსი. ირანელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასალის ომის დროს რაჟდენი ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს. შაჰმა მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა. მიუხედავად ტანჯვა-წამებისა, რაჟდენი არ დაუბრუნდა ცეცხლთაყვანისმცემლობას. მაშინ შაჰმა ის გაგზავნა წრომში დაბანაკებულ ირანელთა ლაშქრის მეთაურთან, რომელმაც რაჟდენი სიკვდილით დასაჯა. ამ ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, VII საუკუნეში, ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II-ის დაკვეთით, შენდება წრომის დღევანდელი გუმბათიანი ტაძარი. სტეფანოზ II-ს „ქართლის ცხოვრება“ ახასიათებს ენერგიულ და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ. სწორედ მას დაუსრულებია მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა. ამავე ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე მოთავსებულია მისი ორი რელიეფური ქანდაკება. მანვე ააგო ჯვრის ტაძრის ზღუდე. VII საუკუნეში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აღმოცენდა ჯვრის ტიპის ძეგლები, თუმცა მათში შეტანილია



ზოგიერთი ცვლილებები, რომლებიც აისახა შენობათა მხატვრულ სახეზე. წრომის ტაძარი აგებულია 626 და 634 წლებს შორის. უფრო ზუსტი დათარიღება ეყრდნობა სამხრეთი კედლის მთავარ სარკმელთან მდებარე წარწერას. „წმიდაო ეკლესიაო სტეფანოზ ვიბატოსი შეიწყალე“. როგორც აღვნიშნეთ, ეს არის ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II, რომელიც აქ მოხსენიებულია მას შემდეგ, რაც მან ბიზანტიის იმპერატორ ირაკლისაგან, მის მიერ, 626 წელს, თბილისის აღების ხანებში, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მიიღო, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ერასმთავრად დაჯდებოდა - ე.ი. 634-635 წლებამდე. ამ ორ თარიღს შუა უნდა ექცეოდეს წრომის ტაძრის აგება. მხატვრული ღირსებით იგი შეიძლება თვით მცხეთის ჯვარსაც კი გავუტოლოთ, იმავე დროს, იგი უკვე შეიცავს ბევრ ისეთ ნიშანს, რომლებიც მოასწავებს ქართული საეკლესიო არქიტექტურის მომავალ განვითარებას. გეგმით იგი მიეკუთვნება ე.წ. “ჩახაზული ჯვრის” ტიპს, რომელიც იმ დროს ყალიბდებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საკულტო ხუროთმოძღვრებაში. მისი დამახასიათებელი თვისებაა შიგა სივრცის გადაწყვეტის ახალი კონსტრუქციული სისტემა. ჯვარისაგან განსხვავებით, გუმბათი აქ ეყრდნობა არა კედლებს, არამედ თავისუფლად მდგომ ოთხ ბურჯს. ამის შედეგად შიგა სივრცე მნიშვნელოვნად იზრდება. წრომი ჯვრულ - გუმბათოვანი ტაძარია. კედლების მკვეთრი და მკაცრი წყობა, ოსტატურად გამოყვანილი თაღები და მათი დახვეწილი პროპორციები, განათების კარგად გააზრებული სისტემა, მოწმობენ მშენებელთა დიდ ოსტატობასა და გემოვნებას. შუა სარკმლის მარცხნივ ასომთავრული წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ადარნასეს ძე. ტაძარი გადახურულია კრამიტით და ქვის ლოფინებით. ტაძარს აქვს სამი შესასვლელი: დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ტაძრის საკურთხევლის კონქი შემკული იყო მოზაიკით (VII ს. I ნახ.), რომლის უმეტესი ნაწილი განადგურებულია (გადარჩენილი ფრაგმენტები გადატანილია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში). დღეს, საკურთხეველში, მხოლოდ მოსამზადებელი ნახატის კონტურებია დარჩენილი. აქ იყო წარმოდგენილი მაცხოვარი ძოწეულის სამოსელში. მისი მარჯვენა ხელი კურთხევის ნიშნად ზევითაა აპყრობილი, ხოლო მარცხენაში გრაგნილია ძველი ქართული დამწერლობით. მაცხოვარი დგას კვარცხლბეკზე, ორივე მხრიდან მიისწრაფვიან მოციქულები თეთრ სამოსელში. მოციქულთა ცოცხალი, სწრაფი მოძრაობა მიგვითითებს წრომის მოზაიკის კავშირზე ძველი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებთან. ყველა სხვა კედელი და კამარა, რომლებიც შიგნითაც ისე სუფთადაა ნაწყობი, როგორც გარეთ, შიშველი და შეუმკობი იყო. ამგვარი კონტრასტი, უეჭველია, გააძლიერებდა და გაამახვილებდა საერთო ეფექტს. ტაძრის სამივე ფასადს ერთნაირი შუაღერძი აქვს, რაც ერთმანეთთან აკავშირებს მათ. მაყურებელი გრძნობს, რომ ხუროთმოძღვარს გააზრებული აქვს არა ცალკეული ფასადები სათითაოდ, არამედ მთელი ნაგებობა ერთიანად. ამის წყალობით დიდი მხატ-



წრომი. ეკლესიის გეგმა

ვრული მთლიანობაა მიღწეული. ტაძარი რამდენჯერმე დაზიანდა და გადაკეთდა: XI და XII საუკუნეებს შორის და XVI-XVII საუკუნეებში. 1731 წლის ლეკთა შემოსევის დროს, დაინგრა გალავანი. ისედაც ძლიერ დაზიანებული ძეგლი 1940 წლის მიწისძვრამაც დააზიანა. დაინგრა ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი: გუმბათი, გუმბათქვეშა კვადრატის კედლები და დასავლეთისა და სამხრეთის თაღების დიდი ნაწილი, გადაიხარა დასავლეთის კედელი. მიუხედავად ამისა, ტაძრის თავდაპირველი გეგმა და საერთო კომპოზიცია უცვლელი დარჩა. 1949 წლიდან დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები. ამავე წელს, დასავლეთის კედლის გასამაგრებლად გაკეთდა სპეციალური დამჭერი კონსტრუქციები. შემდეგ გასწორდა დასავლეთის გადახრილი კედელი. 1974-1975 წწ, ტაძრის გუმბათის ყელის ფუძემდე ამოიყვანეს ტრომპები და ტაძარს დაადგეს საცდელი ხის გუმბათი.

დღეს, წრომის მაცხოვრის სახელობის ტაძარი, როგორც აღვნიშნეთ, შიდა ქართლის ერთ-ერთი უმნისვნელოვანესი ხუროთოძღვრების ნიმუშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- შ. ამირანაშვილი; ქართული ხელოვნების ისტორია; თბილისი 1944 წ.
- რედ. მარიამ ლორთქიფანიძე; საქართველოს ისტორია; 2006 წ.
- ვ. ბერიძე; ძველი ქართული ხუროთმოძღვრება; თბილისი 1974 წ.
- ირ. ციციშვილი; ქართული ხელოვნების ისტორია; თბილისი 1995 წ.

მარიამ მაჭარაშვილი,
ქეთი ბარბაქაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ანგარიში 2018 წლის განმავლობაში განეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ 38 დადგენილების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განყოფილებაში საქმიანობს 5 თანამშრომელი - განყოფილების ხელმძღვანელი და 4 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. აქედან 2 უფროსი სპეციალისტი ემსახურება მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს, ხოლო ერთი უფროსი სპეციალისტი და განყოფილების ხელმძღვანელი პასუხისმგებელი არიან მედიასთან, საზოგადოებასთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე. განყოფილების ხელმძღვანელი არის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი, ასევე მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი. განყოფილება მართავს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს, ასევე მერიის ოფიციალურ ვებ გვერდსაც.

საანგარიშო პერიოდში 2018 წლის განმავლობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს საქმიანობის ფარგლებში, დამუშავდა და საჭიროების მიხედვით, შესაბამის სამსახურებთან გადამისამართდა 6590 განცხადება, 5313 წერილი,

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ კუთვნილი 368 კორესპონდენცია, მომსახურება გაეწია 13 180 მოქალაქეს. 2019 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში კი დამუშავდა და შესაბამის სამსახურებთან გადამისამართდა 1222 განცხადება, 870 წერილი, 45 მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს კუთვნილი განაცხადი და „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ კუთვნილი 63 კორესპონდენცია. მომსახურება გაეწია 2444 მოქალაქეს.

რაც შეეხება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციის კატეგორიას მიკუთვნებულ კორესპონდენციას - 51 კორესპონდენცია განეკუთვნება საჯარო ინფორმაციის კატეგორიას. 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში შემოსული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემის 41 მოთხოვნა, 2 მოთხოვნა შემოსული იყო 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 8 განცხადებაა შემოსული მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე.

ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება და ამის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამომთხოვ პირებს წერილობითი ფორმით ეცნობა.

ყველა განცხადება დაკმაყოფილდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადდა და 2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაიგზავნა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიაში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემისას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი 10-დღიანი ვადა ყოველთვის დაცულია, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილდა. უარის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯებმა ასლის მოსაკრებლის სახით, შეადგინა ნული ლარი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისთვის, დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

როგორც აღინიშნა, განყოფილება ადმინისტრირებას უწევს მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდს და ვებ-გვერდსაც. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი www.khashuri.gov.ge მომზადებულია და ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულია უშუალოდ საანგარიშო პერიოდში - 2018 წლის აპრილიდან. ვებ-გვერდის ამოქმედებამ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილებას საშუალება მისცა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რამაც ხელი შეუწყო ორგანიზაციაში გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ამაღლებას.

მერიის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება ყოველდღიურ რეჟიმში. როგორც ფეისბუქის, ისე ვებგვერდზე განსათავსებელი მასალის მომზადება, დამუშავება, შესაბამისი ფოტომასალის დართვა, ასევე ვიდეო მასალების მომზადება თუ ე.წ. Video Live-ს გაშვება ხდება უშუალოდ განყოფილების თანამშრომლების მიერ. გარდა ჩვენი ექსკლუზიური ინფორმაციისა, ფეისბუქის გვერდზე ხდება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების, და ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის გაზიარება.

ფეისბუქის გვერდი მუშაობს ინტერაქტიულ რეჟიმში. მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ დასვან შეკითხვა ან აზრი გამოხატონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების ირგვლივ. ყველა შეკითხვა, რომელიც შემოსულია ფეისბუქის გვერდის მეშვეობით, პასუხგაცემულია შესაბამის სამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ.

გარდა ინფორმაციის გავრცელების აღნიშნული საშუალებებისა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საინფორმაციო სააგენტოებთან, სადაც სისტემატურად ხდება ინფორმაციის განთავსება მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. 2018 წელს, ვთანამშრომლობდით საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსთან. თებერვლის თვიდან (როცა დაიდო თანამშრომლობის ხელშეკრულება) დეკემბრის ბოლომდე ინტერპრესნიუსზე გამოქვეყნებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ამსახველი 88 მასალა. მიმდინარე წელს, ვთანამშრომლობთ საინფორმაციო სააგენტო პროფ-ნიუსთან, სადაც უკვე გამოქვეყნებულია 20 მასალა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება და მარტის თვიდან მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ მასალების განთავსება მოხდება კიდევ ერთ სააგენტო ipress-ის საიტზე.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს რეგიონულ თუ ცენტრალურ მედიასთან. განსაკუთრებით ხშირად გვიკავშირდებიან ადგილობრივი ტელეკომპანიების „დიას“ და „თრიალეთის“ ჟურნალისტები, ასევე რეგიონული თუ ცენტრალური ბეჭდვითი თუ ინტერნეტ მედიის წარმომადგენლები.

განყოფილება აქტიურად არის ჩართული ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებთან ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, როგორც ყოველთვის, ჩვენი განყოფილების მეშვეობით მოწვევები გაიგზავნა და სექტემბერში, ხაშურქალაქობის დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ხაშურთან დამეგობრებული ოთხი მუნიციპალიტეტის - ნოვოგრად-ვოლინსკის (უკრაინა), რადვილიშკისის (ლიტვა), ბაუსკას (ლატვია) და გორკის (ბელორუსი) დელეგაციები. ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები კი დაესწრნენ საზეიმო ღონისძიებებს ნოვოგრად-ვოლინსკში, გორკში, ბაუსკაში, რადვილიშკისში და პოლონეთის ქალაქ ტარნოვში.

გარდა ოფიციალური ღონისძიებებისა, ლატვიის ქალაქ ბაუსკას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან ერთად, ჩვენი განყოფილება მონაწილეობდა ერთობლივ პროექტში „მრავალფეროვნება გვაერთიანებს“, რომელიც გაიმართა ლატვიის ქალაქ ბაუსკაში ადგილობრივი სოლიდარობის ევროპული დღეების ფარგლებში 2018 წლის 12-19 ნოემბერს. პროექტის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაცია 10 წევრის შემადგენლობით სტუმრობდა ქალაქ ბაუსკას, სადაც გავეცანით ლატვიურ გამოცდილებას ადმინისტრირების, განათლების, სკოლამდელი აღზრდის, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის, მუზეუმებისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებებით. პროექტის ფარგლებში, ხაშურსა და ბაუსკაში მოეწყო ბავშვთა ნახატების კონკურსი თემაზე „მრავალფეროვნება გვაერთიანებს - საქართველო და ლატვია“. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული ნორჩი ავტორების 9 ნამუშევარი გამოიფინა ლატვიის ქალაქ ბაუსკაში როგორც ადგილობრივი სოლიდარობის ევროპული დღეების გახსნის ოფიციალურ ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ლატვიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებიც, ასევე ლატვიის დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე. გამარჯვებული ავტორები ლატვიის თვითმმართველობის ასოციაციამ სიმბოლური პრიზებითაც დააჯილდოვა. აღსანიშნავია ასევე, რომ ხაშურის დელეგაციის წევრი იყო ახალგაზრდა მხატვარი ოთარ ქურდაძე, რომელმაც ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელით ქალაქ ბაუსკას საჩუქრად გადასცა თავისუფლების თემაზე შექმნილი მასშტაბური ტილო, რომელიც მუდმივად იქნება გამოფენილი ბაუსკას მეორე სკოლისა და ხელოვნების სკოლის საერთო ფოიეში. აღსანიშნავია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციის მონაწილეობა ამ პროექტში სრულად იყო მხარდაჭერილი ევროკავშირის მიერ.

ჩვენი განყოფილების უშუალო ჩართულობით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 3 წარმომადგენელი მონაწილეობდა გენდერული თანასწორობის სასწავლო ტურში, რომელიც გაიმართა ხაშურთან დამეგობრებულ შვედეთის ქალაქ ჰედემორაში. ტურის ფარგლებში, სამი ქვეყნის - საქართველოს, ლატვიისა და შვედეთის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გავუზიარეთ გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული გამოცდილება. ვიზიტით ვიმყოფებოდით შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. ამ შემთხვევაშიც, დელეგაციის წევრების მონაწილეობა სასწავლო ტურში მთლიანად იყო მხარდაჭერილი შვედეთის ჰედემორას მუნიციპალიტეტის მიერ.

სასწავლო ტურში მონაწილეობის შემდგომ, დაიგეგმა და ხორციელდება მოქალაქეებთან შეხვედრები გენდერული თანასწორობის საკითხებზე. უკვე ჩატარდა ასეთი შეხვედრები ხცისში, გომში, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში და სხვ. შეხვედრები და საუბრები გენდერული თანასწორობის საკითხებზე გრძელდება მიმდინარე წელსაც.

განყოფილება ჩართულია ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიაში. კამპანია ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით. კამპანიის ფარგლებში, მიმდინარეობს შეხვედრები მოქალაქეებთან, მათთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. უკვე ჩატარებულია შეხვედრები ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ხცისში, ცხრამუხაში, სურამში. კამპანია კვლავაც გრძელდება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილება აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა არასამთავრობო, სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობაში, მათ შორის შეხვედრებისა თუ ტრენინგების მომზადების საორგანიზაციო საკითხებში, ასევე მოსახლეობის ჩართულობით მიმდინარე სხვადასხვა აქციების - მათ შორის დასუფთავების აქციების ორგანიზებასა და გაშუქებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი განყოფილების გამართული ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული როგორც ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელთან და სხვა განყოფილებებთან, ისე მერიის სამსახურებთან, პირადად მუნიციპალიტეტის მერთან და მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, კომისიის ხელმძღვანელებთან და წევრებთან თანამშრომლობაზე. ამიტომ, გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ თანამდებობის პირსა თუ თანამშრომელს, რომელთა ჩართულობის, თანამშრომლობაზე ორიენტირებულობისა თუ პრობლემებზე დროული რეაგირების გარეშე, ჩვენი საქმიანობა აუცილებლად შეფერხდებოდა. როგორც განყოფილების ხელმძღვანელი, მადლობას ვუხდი მის თითოეულ თანამშრომელს შრომისთვის და მხარდაჭერისთვის.

განყოფილება მუშაობას აგრძელებს აქტიურ რეჟიმში და მისი ყველა თანამშრომელი მომავალშიც მზად არის თავი გაართვას მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ ამოცანებს.

ნინო სუხიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი

ახალი პროექტი ბიოლოგიური გარემოს დაცვას და სოციალურ პირობებს გააუმჯობესებს

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა, ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის ანგარიში წარმოადგინეს.

პროექტის დონორია საფრანგეთის განვითარების სააგენტო.

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, პროექტის განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქ. ხაშურის ჩამდინარე წყლების მდგომარეობა, რის გამოც, თავიდან იქნება აცილებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ასევე ნიადაგის დაბინძურება. გაუმჯობესდება მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა. პროექტის განხორციელება დადებითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მოხდება ქალაქ ხაშურის და მიმდებარე დასახლებული პუნქტების სამეურნეო-ფეკალური წყლების ორგანიზებული შეგროვება. გამწმენდი ნაგებობა უზრუნველყოფს საკანალიზაციო წყლების ნორმატიულ დონემდე გაწმენდას, რის შემდეგაც, გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ზედაპირული წყლის ობიექტის ერთ წერტილში. ჩამდინარე წყლების გაუმჯობესებული მართვის შედეგად, მოხდება მიმდებარე წყალსატევებისა და ნიადაგის, ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბინძურების

რისკების მინიმუმამდე შემცირება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ბიოლოგიური გარემოს დაცვის, ასევე დასახლებული პუნქტების შემდგომი სოციალური პირობების განვითარების კუთხით.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და დაინტერესებული მოქალაქეები.

„ივერიის“ სტადიონის დემონტაჟი დაიწყო

ამ დღეებში დაიწყო „ივერიის“ სტადიონის დემონტაჟი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „მეგობრობა - 2011“ აწარმოებს. როგორც კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, დემონტაჟი ორ თვეში, დაახლოებით მაისის თვის დასაწყისში დასრულდება. პარალელურად, მუნიციპალური განვითარების ფონდში უკვე დასრულდა წინადადებების მიღება კომპანიებისგან ახალი სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება 6183407 ლარია. წინადადება უკვე წარმოადგინა შვიდმა კომპანიამ. დღეისათვის მიმდინარეობს მათი დოკუმენტაციის შესწავლა და უახლოეს დღეებში გამარჯვებული კომპანიაც გამოცხადდება. სტადიონის მშენებლობა 2020 წელს უნდა დასრულდეს.

მევლუდ სალაღაიას ფოტო.

<u>- 100 წლის იუბილე -</u>

1919 წლის 12 მარტი - საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორია დაიწყო

(დასასრული)

1919 წლის 12 მარტს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სიით აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად; იყო აგრარული კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრი.

1921 წლის იანვარში, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სხვა 11 წევრთან ერთად, ჩამოაყალიბა ოპოზიციური ჯგუფი „სხივი“, რომელიც აკრიტიკებდა პარტიას იდეური პრინციპების დარღვევის, სახელმწიფო მმართველობის წარუმატებელი კურსისა და პარტიაში შიდა დემოკრატიის შესუსტების გამო. 1921 წლის იანვარში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის ორგანიზაციების კონფერენციაზე, „სხივის“ ჯგუფს უმრავლესობამ მოსთხოვა დაეცვა პარტიული დისციპლინა და შეეწყვიტა საკუთარი პარტიის ღია კრიტიკა გაზეთ „ახალი სხივის“ ფურცლებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გაირიცხებოდნენ პარტიიდან. საპასუხოდ „სხიველთა“ ჯგუფმა, 1921 წლის 11 თებერვლის დამფუძნებელი კრების სხდომაზე საჯაროდ განაცხადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დატოვების და „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია - სხივის“ შექმნის შესახებ, რომელმაც ცალკე - ოპოზიციური ფრაქცია შეადგინა დამფუძნებელ კრებაში. ამავე წლის ივლისში დახურეს გამოცემა და კირილე ნინიძე, სხვა ლიდერებთან ერთად, დააპატიმრეს.

1922 წლის 15 თებერვალს, მეორედ დააპატიმრეს ხაშურში, საქართველოს ოკუპაციის წლისთავზე საპროტესტო მანიფესტაციების თავიდან არიდების მიზნით, საბჭოთა რეჟიმის მიერ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მასობრივი დაპატიმრების ოპერაციის დროს. პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1922 წლის 1 მაისს. შემდგომ პერიოდში, რამდენჯერმე დააპატიმრეს მცირე ხნით. კიდევ ერთხელ დააპატიმრეს 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების დროს. შემდგომ წლებში განაგრძობდა ადვოკატთა კოლეგიაში მუშაობას და პოლიტიკურ პროცესებზე დამცველად გამოდიოდა.

1937-1938 წლების დიდი საბჭოთა ტერორის დროს, საქართველოს სსრ შინსახკომმა ძალისმიერი მეთოდებით ზეწოლის გზით მოახერხა მიეღო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყოფილი ლიდერებისაგან, მათ შორის დამფუძნებელი კრების დეპუტატებისაგან, ადიარებითი ჩვენებები, რომელთა თანახმადაც საქართველოში არსებობდა კონტრრევოლუციური „მენშევიკური ცენტრი“, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა სახელმწიფოს დამხობა შეიარაღებული გადატრიალებისა და უცხოეთიდან სამხედრო ინტერვენციის გზით.

კირილე ნინიძე დააპატიმრეს 1937 წლის 15 აპრილს, თბილისში, „მენშევიკური ცენტრის“ წევრობის ბრალდებით.

1937 წლის 13 სექტემბერს, სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ დახვრეტა მიუსაჯა.

თ. ლაცაბიძე

ცხრამუხა. სამების ეკლესია. ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

- ვერნისაჟი -

ლეგენდარული სპორტსმენი - განსხვავებულ ამპლუაში

მანუჩარ მაჩაიძე - ვეჭვობ, საქართველოში, ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვის ეს სახელი ცნობილი არ იყოს. ლეგენდარული ფეხბურთელი, პირდაპირი მნიშვნელობით, აზანზარებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სტადიონებს და ამ მოედნებზე ათიათასაობით იყო ისეთი გულშემატკივარი, რომლებიც მხოლოდ მის საყურებლად დადიოდნენ თამაშზე. მისი საოცარი ტექნიკა ყოველთვის აღტაცებას იწვევდა. მრავალჯერ ახარხარებულა მაყურებელი, როდესაც 3-4 და ხუთი კაციც კი გამწარებული დასდევდა და ვერაფრით ახერხებდნენ მისთვის ბურთის ართმევას. ან რა დაგვავიწყებს იმ მომენტს, როდესაც სომხეთში, ახლადგახსნილ „რაზდანის“ სტადიონზე, სწორედ მისმა ულამაზესმა გოლმა „გაჭრა საპატიო ლენტი“ და იქაურ გულშემატკივრებს დღესასწაული ჩაუმწარა.

ეს უნიჭიერესი სპორტსმენი, 7 მარტს, აბსოლუტურად განსხვავებული ამპლუით ესტუმრა ხაშურს - მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მისი ფერწერული ტილოების გამოფენა გაიმართა. „ნიჭია, ნიჭი მთავარი“... გახსოვთ გალაქტიონმა რომ ბრძანა? უზენაესმა მართლაც გულუხვად დაიბერტყა კალთა ამ კაცზე. ფეხბურთელობის გარდა, მაღალი დონის მოჭადრაკეც რომ იყო, ვიცოდით, და აგერ, ფერწერაშიც დიდოსტატი ყოფილა. მისი ნამუშევრების შემხედვარე, უხერხულიც კია, ვთქვა, რომ იგი თვითნასწავლი მხატვარია. საოცარ ფერებში შესრულებულმა ნახატებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებლებზე. ვერნისაჟის გახსნას კი მრავალი ხაშურელი ესწრებოდა, რომლებსაც აღტაცება არ დაუმალავთ.

რევაზ კოშკაძე, ხელოვანი, ვერნისაჟის ორგანიზატორი:- ვფიქრობ, ხაშურელებისთვის ეს გამოფენა მართლაც მშვენიერი საჩუქარია. დღეს, ალბათ, ყველა კიდევ ერთხელ დარწმუნდა ამ ლეგენდარული სპორტსმენის დიდ ტალანტში. სხვათა შორის, ხაშური საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის პირველია, სადაც მანუჩარ მაჩაიძის ნამუშევრების გამოფენა ეწყობა...

მანუჩარ მაჩაიძე: - დიდი მადლობა ხაშურს და ხაშურელებს ასეთი დაფასებისთვის. აქედან წაყოლილი სითბო და სიყვარული კიდევ დიდხანს გამყვება...



გამოფენის დამთვალიერებლები შთაბეჭდილებებს არ მალავდნენ, პატარები ავტოგრაფებს სთხოვდნენ უდიდეს სპორტსმენს. დიდი მანუჩარი კი იდგა თავისი ნახატების წინ, იდგა, როგორც მუდამ იყო მისი ცხოვრების წესი-ჩუმად, თითქოს მორცხვად და უპრეტენზიოდ

.გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.